ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 43

11 სექტემბერი2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

14:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

გულია გოცირიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი გააცნო.

მან განაცხადა, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ დაახლოებით ერთი წლის წინ გააჟღერა ინიციატივა, ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ. მისივე თქმით, ინიციატივამ სოციალურ ქსელებში მოსახლეობის უპრეცედენტო მხარდაჭერა მოიპოვა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საზოგადოებას სთავაზობს მოსაზრებას, ჩუღურეთის რაიონში, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღს გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღი დაერქვას.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით კომისია არც ერთ საკითხს არ იხილავს მოსახლეობის ჩართულობის გარეშე. კომისიის წევრებმა აზრი გამოთქვეს რომ გია ყანჩელის სახელობის გეოგრაფიული ობიექტი უმოკლეს დროში დაიმკვიდრებს ადგილს თბილისელების და დედაქალაქის სტუმრების მეხსიერებაში.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ საკითხის განხილვა იქნებოდა სამაგალითოდ ღია ჩვენი თანამოქალაქეების მაქსიმალური ჩართულობით. ასევე თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ არტოს ბაღი მდებარეობს იმ უბანში, სადაც დაიბადა და გაიზარდა გია ყანჩელი. ბაღის მიმდებარედ ის ქუჩებია, რომლებზეც კომპოზიტორი ბევრს საუბრობდა და განსაკუთრებული მოგონებები აკავშირებდა.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს აღნიშნულ ინიციატივას ქალაქ თბილისში გია ყანჩელის სახელობის ბაღის დაარსების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი